

სსიპ- „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის

ბრძანება

№ 2/72

23 აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული
ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის
სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტს - ვიოლინო. ეტიკეტი: Antonius Stradiarius Cremonenfis Faciebat Anno 17... (ანტონიუს სტრადივარიუს კრემონენფის ფასიებატ ანნო 17...)
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დ. ლომიტაშვილი

დანართი

ბრძანება № 2/72 23.04.2015 წ.

კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის საადრიცხო ბარათი

№ სხ-2954



1. მოძრავი ობიექტის/ძეგლის სახეობა	სახვითი ხელოვნება (გამოყენებითი ხელოვნება – მუსიკალური ინსტრუმენტი)
2. ავტორი/სკოლა	იტალიური სკოლა
3. დასახელება	ვიოლინო ეტიკეტი: Antonius Stradiuarius Cremonenfis Faciebat Anno 17... (ანტონიუს სტრადივარიუს კრემონენფის ფასიებატ ანნო 17..)
4. შექმნის დრო და ადგილი	XVIII ს.
5. ამჟამინდელი ადგილსამყოფელი	ამჟამად დაცულია ქ. მოსკოვში, შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის შენობაში (ყოფილი საქართველოს საელჩო). მის.: ქ. მოსკოვი, მალი რუჟევსკი შეს. N6.
6. მასალა, ზომა	მასალა: ქვედა დეკა, გვერდხედი, სათავე – ნეკერჩხალი ზედა დეკა – ნაძვი ვიოლინო 4/4 (მთლიანი ზომა) ქვედა დეკის ზომები თაღის გასწვრივ: ზედა რკალის სიგრძე - 160 მმ. მინიმალური სიგანე - 108 მმ. მაქსიმალური სიგანე - 200 მმ. სიგრძე ქუსლის გარეშე - 355 მმ.

	<p>ზედა დეკის ზომები თაღის გასწვრივ:</p> <p>ეფებს შორის მინიმალური მანძილი - 37 მმ.</p> <p>მანძილი ზედა ნაპირიდან ეფების ქვედა ამონაჭრამდე - 195 მმ.</p> <p>გვერდხედის ზომები:</p> <p>სიმაღლე ფოლაქთან - 30 მმ.</p> <p>სიმაღლე მარჯვენა ქვედა კუთხესთან - 29 მმ.</p> <p>სიმაღლე მარჯვენა ზედა კუთხესთან - 28, 5 მმ.</p> <p>სიმაღლე ყელის მარჯვენა ყუასთან - 28,5 მმ.</p> <p>სათავის ზომები:</p> <p>მინიმალური სიგანე -10 მმ.</p> <p>მაქსიმალური სიგანე -40 მმ.</p> <p>სათავის ქუსლის სიგანე -26 მმ.</p>
<p>7. ფიზიკური მდგომარეობა</p>	<p>ზედა დეკაზე აღინიშნება ორი მომცრო ზომის ბზარი:</p> <p>ზედა ნაწილში ყელის ყუასთან მარჯვენა მხარეს (25 მმ.) და ქვედა ნაწილში ფოლაქთან (25 მმ.).</p> <p>ქვედა დეკაზე აღინიშნება სამი ბზარი:</p> <p>ზედა ნაწილში ქუსლთან (20 მმ.), ქვედა ნაწილში ფოლაქთან (13 მმ.), სანიკაპესთან (8 მმ.).</p> <p>გვერდები:</p> <p>გვერდებზე ქვედა რკალზე აღინიშნება ბზარები - 10 ბზარი მარჯვენა მხარეს და 10 ბზარი მარცხენა მხარეს. ბზარების სიგრძე 10-30 მმ.</p> <p>ყველა ბზარი ძველია, არანაკლებ 80-100 წლისა.</p>